საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N3

ბათუმი 26 იანვარი, 2023 წ.

კონსოლიდირებული

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 36-ე და 63-ე მუხლების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N54-IIს დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების უფროსი გელა ღოღობერიძე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მარიამ სალუქვაძე (ცვლილება - ბრძანება N27, 10.08.2026).

3. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2016 წლის 06 დეკემბრის ბრძანება N38 „გელა ღოღობერიძის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დანიშვნის შესახებ“.

4. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

5. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ამ ბრძანების კანონით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება, უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე